მოწყობილობის დანიშნულება

წყლის გამაცხელებელი განკუთვნილია წყლის გასაცხელებლად.

უსაფრთხოების ზომები

- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის პარამეტრები შეესაბამება მოწყობილობის ტექნიკურ მახასიათებლებს.
- ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან მის ფიზიკურ გამორთვამდე. გამორთეთ მოწყობილობა იზოლირებული ელ. ჩანგლით; არ დაქაჩოთ კვების კაბელი.
- ხილული დაზიანების აღმოჩენისას არ გამოიყენოთ მოწყობილობა. დაუყოვნებლივ გამორთეთ იგი ქსელიდან და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა კვების კაბელის დაზიანების შემთხვევაში.
- არ გამოიყენოთ დამაგრძელებელი მოწყობილობის ელექტროქსელში ჩასართავად.
- არ შეიტანოთ არანაირი ცვლილება მოწყობილობის კონსტრუქციაში.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- არ დალიოთ წყლის გამაცხელებელში გამავალი წყალი.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა 0°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე და შენობის გარეთ.
- წყალმომარაგების შეწყვეტისას გამორთეთ მოწყობილობა და არ გამოიყენოთ იგი წყლის გარეშე.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო. ასევე არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე, მისი შეხება ცხელ ზედაპირებსა თუ ბასრ კუთხეებთან.
- ხანძრის რისკის თავიდან ასაცილებლად, ნუ განათავსებთ მოწყობილობას ადვილად აალებადი სითხეების, მასალებისა და ობიექტების უშუალო სიახლოვეს.

  მოწყობილობის ქსელში ჩართვის გარეშე, გაატარეთ წყალი მასში შემდეგ შემთხვევებში:
- მოწყობილობის დამონტაჟების შემდეგ;
- წყალმომარაგების შეწყვეტისა და სარემონტო სამუშაოების შემდეგ;
- თუ მოწყობილობა დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული.
- ელექტროშოკისა და ტრავმების თავიდან ასაცილებლად, არ ჩადოთ მოწყობილობა, კვების კაბელი ან ელ. ჩანგალი წყალში ან სხვა სითხეში.